№ 149 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, ივლისის 6 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევი საზოგადოება

(1844 წ.) ამით იუწყება, რომ ქალაქთა კავშირთან შეთანხმებით და საქ. დემოკრ. რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით, მის, როგორც ქალაქთა კავშირის კონტრ-აგენტის მიერ გახსნილია

### ქ. ფოთში სატრანზიტო საწყობები.

ამასთანავე, თანახმათ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდებისა, საქონელი, რომელიც გამოგზავნილი იქნება რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ან ქალაქთა კავშირის სახელზე ფოთში და შემოვა საზოგადოების საწყობში—სარგებლობს ტრანზიტის უფლებით, ე. ი. თავისუფლად შეიძლება გატანა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან. ცნობების გაგება შეიძლება საზოგადოების ყველა კანტორებში და ქალაქთა კავშირში ტფილისში. 1707 4—3

## მიიღება ხელისმოწერა

### ყოველთვიურ ჟურნალ „გზათა უწყების მოამბე“-ზე

რომელიც გამოვა ამა წლის ივლისის პირველ რიცხვებში. ჟურნალში იქნება

**ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებ**

მისამართი: ტფილისი, გზათა დეპარტამენტის კანცელარია (ვაგზლის ქუჩა № 1), ჟურნალ „გზათა უწყების მოამბე“-ს მდივანს. 718 3—2

## ქ. ტფილისის გამგეობა

### იწვევს მსურველთ

### გამგეობის მთავარ ბუხჰალტრის თანამდებობაზედ.

საჭიროა სპეციალური ცოდნა ორმაგი ბუხჰალტერიისა და დიდი გამოცდილება მუნიციპალურ მრავალ ფეროვან მეურნეობის ანგარიშის წარმოებაში. პირობების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ქალაქის გამგეობაში საფინანსო განყოფილების გამგეობის წევრთან.
719 3—3

## ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

**იწვევს მიმდინარე წლის ივლისის 19-ს ამავე ერობის ხმოსანთა მორიგი (მეხუთე) ყრილობას. განსახილველი საკითხები:**

1) მოხსენება გამგეობისა წასული წლის მოქმედების შესახებ.
2) 1920 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3) მუხიანის, მუხაყრუის და დიდი-ჯიხაიშის უბნების მომრიგებელ-მოსამართლეთა არჩევა.
4) წვრილი ერთეულები.
5) სესხის აღება.
6) გამგეობის წევრის არჩევა.
7) მიმდინარე საკითხები.

ყრილობა გაიხსნება ზემოხსენებულ რიცხვს დილის 10 საათზე ერობის ბინაზე.

723 6—1 **ე რ ო ბ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა.**

## ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს კანტორაში არის თავისუფალი ალაგი მანქანაზე გადამწერის.

მსურველმა უნდა შემოიტანოს თხოვნა ზედამხედველის სახელზე 9 ივნისამდე.

**მიღებული იქნება გამოცდის შემდეგ.**

1748 2—1

## ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

**იუსტიციის მინისტრისა.**

29 ივნისი, 1920 წ., № 229.

**დაინიშნა:** ანატოლი ფედოტის ძე კულიშოვი ტფილისის საპყრობილეთა ცენტრალურ საავადმყოფოს შტატ გარეშე დაქირავებულ დროებით უნცროს ექიმის მოვალეობის. აღმასრულებლად ეპიდემიასთან საბრძოლველად ამა წლის ივნისის 15-დან.

№ 230.

**დაინიშნენ:** მიმდინარე წლის მაისის 1-დან ექიმის დროებით მოვალეობის აღმასრულებლად მიხეილ ივანეს ძე მირზაშვილი გორის საპყრობილეში, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჯანდიერი სიღნაღის საპყრობილეში, ილია ივანეს ძე ტუმადჟანოვი თელავის საპყრობილეში, იოსებ ვლადიმირეს ძე გვახარია დუშეთის საპყრობილეში, ევგენი ალექსის ძე ფულარია სენაკის საპყრობილეში, ალექსანდრე პავლეს ძე თუმანიშვილი ოზურგეთის საპყრობილეში, ილია იესეს ძე ჩოგვაძე, დავით პავლეს ძე კოსტავა და მაქსიმე ელიზბარის ძე ნემსაძე ქუთაისის საპყრობილეში და იასონ მუჯირი ზუგდიდის საპყრობილეში.

№ 231.

**გაუგრძელდეს** დროებითი თავისუფლება საპყრობილეთა ინსპექტორის თანაშემწეს ჭეიშვილს ამა წლის აგვისტოს 8-მდე.

№ 232.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის ივნისის 23-ის დადგენილების ძალით განთავისუფლებულ იქმნას დანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ნაციონალიზაციისა გამო ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მიხეილ მიხაილოვი და მიეცეს მას სალიკვიდაციო დახმარება ამა წლის ივლისის 1-დან.

30 ივნისი 1920 წ., № 233.

**ჩაირიცხოს** იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და გაიგზავნოს დუშეთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად მიხეილ დავითის ძე ბარნაბიშვილი ამა წლის ივლისის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. **არხნიძე.**

## შ ტ ა ტ ი

**1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.**

| №№ რიგზე. | თანამდებობის სახელწოდება. | თანამდებობათა რიცხვი. | თვიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი თვითეულს. | წლიური ჯამაგირი ყველას. |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მ ა ნ ე თ ი. | | |
| | **8. ლიკანის უბანი.** | | | | |
| | **ბაღები:** | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 2000 | 24000 | 24000 |
| 2 | მებაღე | 3 | 1050 | 12600 | 37800 |
| 3 | მუშა | 18 | 1000 | 12000 | 216000 |
| | სულ | 22 | — | — | 277800 |
| | **9. მფრინავი რაზმი.** | | | | |
| 1 | რაზმის უფროსი | 1 | 1700 | 20400 | 20400 |
| 2 | დარაჯი | 22 | 1000 | 12000 | 264000 |
| | სულ | 23 | — | — | 284400 |
| | **10. საოლშენებლო და სახანიტარო ნაწილი.** | | | | |
| 1 | ტეხნიკოსი | 1 | 1800 | 21600 | 21600 |
| 2 | ტეხნიკოსის თანაშემწე | 1 | 1050 | 12600 | 12600 |
| 3 | მჭედელი | 1 | 1300 | 15600 | 15[illegible] |
| 4 | დურგალი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 5 | მეღუმელე | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 6 | ათისთავი | 1 | 1200 | 14400 | 14400 |
| 7 | უფროსი მუშა | 2 | 1100 | 13200 | 26400 |
| 8 | სანიტარი | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| | სულ | 9 | — | — | 133800 |
| | **11. საავადმყოფო.** | | | | |
| 1 | უფროსი ექიმი | 1 | 4050 | 48600 | 48600 |
| 2 | საავადმყოფოს ორდინატორი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 3 | სანიტარული ექიმი | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 4 | აფთიაქის გამგე | 1 | 1850 | 22200 | 22200 |
| 5 | სამეურნეო ნაწილის გამგე | 1 | 1650 | 19800 | 19800 |
| 6 | ფერშალი ქალი (ბებია) | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 7 | მოწყალების და | 2 | 1300 | 15600 | 32100 |
| 8 | დეზინფექტორი | 1 | 1300 | 15600 | 15600 |
| 9 | მეეტლე | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 10 | მრეცხავი ქალი | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 11 | სანიტარი | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 12 | მეეზოვე | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 13 | ავადმყოფის მომვლელი ქალი | 4 | 1050 | 12600 | 50100 |
| 14 | მზარეული | 1 | 500 | 6000 | 6000 |
| 15 | მისი თანაშემწე | 1 | 400 | 4800 | 4800 |
| 16 | მრეცხავის თანაშემწე | 1 | 600 | 7200 | 7200 |
| | სულ | 20 | — | — | 340200 |
| | **12. ელექტრონის, ტელეფონის და წყალსადენის სადგური.** | | | | |
| 1 | გამგე | 1 | 1600 | 19200 | 19200 |
| 2 | კონტროლიორი | 1 | 1500 | 18000 | 18000 |
| 3 | მონტიორი | 3 | 1100 | 13200 | 39600 |
| 4 | მემანქანე | 3 | 1100 | 13200 | 39600 |
| 5 | ტელეფონზე მომუშავე | 3 | 1100 | 13200 | 39600 |
| 6 | ფილტრის ზედამხედველი | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 7 | დარაჯი | 2 | 1000 | 12000 | 24000 |
| | სულ | 14 | — | — | 193200 |
| | **13. სანადირო სატყეო უბანი.** | | | | |
| 1 | ტყის გამგე | 1 | 2700 | 32400 | 32400 |
| 2 | კანტორის მოხელე | 1 | 1000 | 12000 | 12000 |
| 3 | კონტროლიორი | 1 | 1100 | 13200 | 13200 |
| 4 | ცხენოსანი ტყისმცველი | 2 | 1100 | 13200 | 26400 |
| 5 | ტყისმცველი | 13 | 1000 | 12000 | 156000 |
| 6 | კანტორის შიკრიკი | 1 | 500 | 6000 | 6000 |
| | სულ | 19 | — | — | 246000 |

1920 წ. ივნისის 22-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ექ. თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# ბათომი

ჩვენი ჯარი ბათომის ოლქის დასაკავებლად წინსვლას განაგრძობს. 3 ივლისს, ღამით, ჩვენი ჯარი უინცინდენტოდ გასცდა ჩაქვას და შევიდა ბათომის მიდამო—ბარცხანაში, სადაც იგი დაბანაკდა. რკინის გზა ბათომამდე ჩვენმა ჯარმა უკვე დაიჭირა.

დანარჩენ მიმართულებიდან სიწყნარეა.

ინგლისის სარდლობა ოფიციალურად შემდეგს აცხადებს: ორშაბათიდან საბინაო სასამართლო თავის მოქმედებას სწყვეტს და მთელ საქმეებს ბათომის ოლქის სასამართლოს გადასცემსო, იმავე დროს ინგლისის სამხედრო გუბერნატორი კაპ. გრუჯონი წინადადებას აძლევს ყველა იმ პირს, ვისაც რაიმე პრეტენზიები აქვს ბრიტანეთის სარდლობასთან, აუწყონ მას ამის შესახებ კვარტირმეისტერის ბინაზე არა უგვიანეს 8 ივლისისა, რადგან მას შემდეგ პრეტენზიებს არ განიხილავენ. ფასი ბინებისა, რომელიც ბრიტანეთის სამხედრო პირებს უჭირავთ გასასტუმრებელია 15 ივლისამდე.

— ბათომში ცნობა მოვიდა; რომ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ომი გამოუცხადოს ოსმალეთს, რომელმაც საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადაო.

— 4 ივლისს ბათომში გამოვიდა ყოველდღიური რუსული გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნ“-ი.

— საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა დე-მარტელმა შემდეგი განაცხადა: ბათომის ოლქის, ბათომის და მისი ნავთსადგურის საქართველოსადმი გადმოცემა საფრანგეთის მთავრობის მხრივ ყოველთვის პოულობდა თანაგრძნობასო. დამოუკიდებელ აჭარის შექმნა.—ეს ხელოვნური იქნებოდა. აშკარაა, რომ ბათომმა ზღვისაკენ გზა უნდა გაუხსნას სომხეთსა და ადერბეიჯანს, ამ ორ დამოუკიდებელ რესპუბლიკას, რომელთაც სამართლიანად უნდა მიიღონ თავისუფალი ტრანზიტისა და ბათომის ნავთსადგურით თავისუფალი სარგებლობის უფლება. ამასთანავე მე ვიცი, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო სათანადო ზომები ქართველ მაჰმადიანთა ეკონომიურ-სარწმუნოებრივ და სოციალურ ინტერესების დასაცავად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბათომში საქართველოს მმართველობის დამყარება არავითარ დაბრკოლებას არ შეხვდება და წესრიგი გაუჭირვებლად დამყარდება ბათომის მთელ ოლქში.

— 2 ივლისს ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით დაიხურა თურქული გაზეთი „სედაი მილეთი“.

მთავრობამ დაატუსაღა სტამბის პატრონი ჲ. შმაევსკი, რომელმაც მთავრობის ნება დაურთველათ დაბეჭდა აღნიშნული გაზეთი თავის სტამბაში. ბ. შმაევსკის გაასამართლებენ ორშაბათს 5 ივლისს.

— 2 ივლისს დ. ქობულეთის მცხოვრებნი რ.-გზის სადგურზე პურ-მარილით მიესალმენ ქართველ ჯარს. პურ მარილი მიართვა ქობულეთის უხუცესმა გულუ-აღა კაიკაციშვილმა მეტად მგრძნობიარე სიტყვით, რომელმაც სიხარულით აღნიშნა საქართველოს ისტორიულსაზღვრების აღდგენა.

— პურ-მარილი მადლობით ჩამოართვა პოლკ. გეგელაშვილმა. ხალხმა უსურვა გამარჯვება გაერთიანებულ საქართველოს ბელადს ნ. ნ. ჟორდანიას. აგრეთვე მიესალმენ საგარეო საქმეთა მინისტრს ევ. გეგეჭკორს, რომელმაც თავისი მიზან შეწონილი პოლიტიკით დასძლია მრავალი დაბრკოლებანი და უსისხლოთ შეუერთა ქ. ბათომი და მისი ოლქი საქართველოს.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე მემედ ალა გოგიბერიძემ და ახალგაზრდების სახელით ბათომის ქართული გიმნაზიის მოწაფე ცივაძემ.

# მთავრობაში

**24 ივნისის სხდომა.**

**აქციზიდან განთავისუფლება.**

განთავისუფლდეს სააქციზო გადასახადისაგან ის თამბაქო და ასანთი, რომელიც ფრონტის საჭიროებისათვის იგზავნება.

**დახმარება დასახიჩრებულთ.**

გადაიდოს 5 მილ. მან. დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ ოჯახებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ. სამხედრო მინისტრს მიენდო დამფ. კრებაში სათანადო კანონ-პროექტის წარდგენა.

**არაჩვეულებრივი ხარჯები.**

გარეშე საქმეთა სამინისტროს არა ჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად გადაიდოს 6 მილ. მანეთი. გარეშე საქმეთა მინისტრს მიენდო დამფ. კრებაში სათანადო კანონ-პროექტის წარდგენა.

**აზერბეიჯანთან საქონლის გაცვლა გამოცვლა.**

აზერბეიჯანის მთავარ-სარდლის წინადადება 100 ათას ფუთი თამბაქოს პურზე გაცვლის შესახებ, მიღებულ იქნას.

**დახმარება თამბაქოს კოოპერატივებს.**

მიეცეს სესხის სახით თამბაქოს კოოპერატივებს 100 მილ. მანეთი იმ პირობით, რომ ამ 100 მილ. მან. ანგარიშში კოოპერატივებმა ჩასთვალონ უკვე მიღებული 36 მილ. მანეთი. ფინანსთა მინისტრმა დამფ. კრებაში სათანადო კანონ-პროექტი უნდა შეიტანოს.

**იაფი პური რკინის გზელებს.**

გადაეცეს სახელმწიფო კონტროლს დასკვნისთვის გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება რკინის გზელებისათვის იაფი პურის შესაძენათ 140 მილ. მან. მიცემის შესახებ.

**საგანგებო სასამართლოების გაუქმება.**

დამტკიცდეს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილი პროექტი ტფილისში და სოხუმში საგანგებო სასამართლოების გაუქმების შესახებ.

**უაქციზო შაქარი.**

განთავისუფლებულ იქნას სააქციზო გადასახადისაგან ის შაქარი, რომელიც მუშების დასარიგებლათ არის დანიშნული.

**სასოფლო-სამეურნეო განათლება.**

გადაეცეს ყოფილ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბალოსნო შკოლა მთელი თავისი ქონებითა და ინვენტარით მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

**დახმარება ერობას.**

მიეცეს სენაკის ერობას მცხოვრებთათვის სასურსათო დახმარების აღმოსაჩენად 3 ვაგონი სიმინდი.

**სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიცია.**

თანახმად ფინანსთა სამინისტროს მოხსენებისა მიეცეს საჭირო თანხა სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციას შტატის გასაძლიერებლად და შესანახად. ფინანსთა მინისტრს მიენდო დამფ. კრებაში შესაფერ კანონ-პროექტის წარდგენა.

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში

**ლალის აკრეფა.**

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ სამაზრო ერობებს საფონდო მიწებიდან ლალის აკრეფის შესახებ ინსტრუქცია დაუგზავნა. თანახმად ინსტრუქციისა 1) ჭირნახულის მოწევასთან ერთად მთელი მაზრა იყოფა რაიონებად, 2) ყოველ რაიონში უნდა გამოიკვლეს პურის რაოდენობის საშუალო რიცხვი დესიატინასა და ქცევაზე, 3) ყოველ რაიონში უნდა დადგენილ იქნას ფუთი ხორბლის საშუალო ფასი, 4) ადგილობრივ საფონდო მიწების გამგეობებმა ზემოაღნიშნულ დადგენილებების განხორციელებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, 5) ეს დადგენილებანი დასამტკიცებლად მიწათ-მოქმედების მინისტრს უნდა წარედგინოს, 6) საფონდო მიწების გამგე, თანახმად აღნიშნულ სისტემისა მილიციის და ერობის გამგეობის დახმარებით, საფონდო მიწებიდან კრებს ლალას. შენიშვნა: ეროვნულ მამულებიდან ლალას მხოლოდ ნატურით კრებს, 7) ჩაბარება და მიღება წამხდარ ხორბლისა აკრძალულია, 8) აკრძალულია დადგენილებათა დაკლება ან მათზე დამატება, 9) მილიცია ლალის აკრებაში ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს, 10) ლალის შეკრების ყველა ანგარიშს საფონდო მიწების გამგე აწარმოებს, 11) სამაზრო ერობა ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს ლალის შესახებ გამოცემულ განკარგულების ცხოვრებაში გატარებას, 12) აკრეფილი ფული უნდა შეიტანონ ხაზინაში მოსავალი კი მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში უნდა გადაეცეს.

**მესაქონლეობა.**

მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით 2 ივლისს სოველ მთებზე გაემგზავრა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ზოგიერთ საკითხების მოგვარება, რომლებიც მესაქონლე თუშებსა და დანარჩენ მესაქონლეთა შორის აღიძრა. კომისიის შემადგენლობაში შედიან წარმომადგენლები მიწათმოქმედების სამინისტოდან, ადგილობრივ ადმინისტრაციიდან, ერობიდან და სხ.

**საიჯარო გადასახადი.**

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ ყველა ერობებს დაუგზავნა დამფ. კრების დეკრეტი, რომელიც საერთო გადასახადიდან საიჯარო განყოფილებაში 20% გადადებას ეხება. მიწათ-მოქმედების სამინისტრო მომავალში ერობებთან ანგარიშის გასასწორებლად ცალცალკე, ყოველ ერობისთვის გადასახადის სპეციალურ აღწერილობას აწარმოებს. მიწათ-მოქმედების სამინისტრო ერობებისადმი მიმართულ მოწოდებაში გამოსთქვამს იმედს, რომ ერობები მიიღებენ მხედველობაში, როგორც თავის, ისე რესპუბლიკის ინტერესებს; ყოველ ზომებს მიიღებენ, რომ სახელმწიფო გადასახადების აკრეფა წესიერად იქმეს წარმოებული. ამ დეკრეტით, რომელიც მიწათმოქმედების მინისტრის ინიციატივით დადგება, საფუძველი ეყრება ერობების საბიუჯეტო უფლებას.

# იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის სამინისტრომ ყველა ხელქვეით დაწესებულებებს ცირკულიარული წინადადება მისცა მოსპონ ძველი ტიპის სახაზინო ბეჭდის ხმარება და შემოიღონ ახალი ბეჭდები საქართველოს ღერბით. იმ დაწესებულებებმა, სადაც კიდევ არ არის ახალი ბეჭდი ხმარებაში შემოღებული, უნდა წარმოადგინონ განმარტება, თუ რისთვის არ არის ამდენხანს ამ ბეჭდების ხმარება შემოღებული. ამავე დროს საპყრობილეთა ინსპექტორს წინადადება მიეცა მოიყვანოს სისრულეში მხოლოდ სასამართლოს ის განაჩენი, რომელზედაც სახელმწიფო ღერბიანი ბეჭედი იქნება დასმული.

**კანონმდებლობის გადამსინჯავი კომისია.**

კანონმდებლობის გადამსინჯველ კომისიაში დროებით წევრებათ დაინიშნა: სენატის პროკურორი ა. ს. გელხაროვი, ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი მ. ა. ტატიშვილი, ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი—ი. დ. სიდავა და იმავე სასამართლოს წევრი მ. ვ. ლუნკევიჩი, რომელსაც ამავე დროს კომისიის მდივნობაც დაევალა.

# საბჭოთა რუსეთის ცხოვრებიდან.

რუსეთიდან ეხლად დაბრუნებულმა ი. ამირეჯიბმა კვირას, ივლისის 4, ქართულ კლუბში მოხსენება გააკეთა დღევანდელ საბჭოთა მდგომარეობის შესახებ; მოხსენებას საკმაოდ დაესწრო საზოგადოება. მოხსენება მეტად დასაბუთებული იყო; მომხსენებელმა აღნიშნა ჯოჯოხეთური პირობები, რომელშიაც დღეს სულს ღაფავს ყოფილი დიდი რუსეთი. მართალია, ჩვენებური პრესის მკითხველებმა იციან დღევანდელი რუსეთის ცხოვრების აუტანელი პირობები, რაც ხშირად დადასტურებული იყო ისევ საბჭოთა რუსეთის პრესაში მოყვანილი ფაქტებით, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ დავინახეთ მოვათავსოთ მოხსენების ზოგიერთი ადგილები შემოკლებით.

**„ჩრეზვიჩაიკა“.**

„ჩრეზვიჩაიკა“, აი ვინ განაგებს დღევანდელ რუსეთს ფაქტიურად სასწორ-სამართალი, ადამიანის სიცოცხლე დღეს რუსეთის „ჩრეზვიჩაიკელების“ ხელშია. ეს ორგანიზაცია მოგვაგონებს ძველი რუსეთის ჟანდარმერიას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჟანდარმერიაში უფრო დაცული იყო სამართლიანობა, მას უფრო ჭკვიანი ხალხი ხელმძღვანელობდა, „ჩრეზვიჩაიკებს“ 17—18 წლის ახალგაზდები განაგებენ. ესეთ დანაშაულობისათვის, რისთვისაც ძველი კანონების მიხედვით 2—3თვით ციხეში ჯდომით ისჯებოდენ წინად, დღეს იმავე დანაშაულობისათვის ჰკლავენ. ადამიანის სიცოცხლემ სრულიად დაჰკარგა ფასი. სულ ცოტაოდენი მიზეზია საჭირო, რომ გახდეთ მსხვერპლი „ჩრეზვიჩაიკისა“. სიკვდილით დასჯა არ იციან ცალცალკე; საქმის გასაადვილებლად რამოდენიმე „დამნაშავე-კონტრ-რევოლიუციონერებს“ მოუყრიან თავს, მაგალითად რამდენიმე ასეულს და ისე ქლეტენ შეუბრალებლად.

**როგორ ეპყრობიან მკვდრებს.**

რასაკვირველია, თუ ცოცხლებს არ ზოგავენ ბალშევიკები, მით უმეტეს სრულიად უპატივცემულოდ ეპყრობიან მკვდრებს. სიკვდილით დასჯის რაოდენიმე დღის შემდეგ გახრწნილ გვამებს ათეულობით ერთად ჰყრიან ორმოში. ცალკე კუბოში ზოგიერთ წარჩინებულ პირთა გვამებს თუ ღირსება. არსებობს ქალაქში, ან რამდენიმე სოფლისათვის ერთი საერთო კუბო, რომლითაც ორმომდე მიიტანებენ მიცვალებულებს. შემდეგ კი კუბოს უკანვე აბრუნებენ; ამით ჯერ ერთი იცავენ ეკონომიას, რადგანაც როგორც ყველაფერი რუსეთში კუბო დღეს ძალიან დიდი ფული ჯდება და მეორეც ბალშევიკების აზრით კუბო არ არის საჭირო.

# უცხოეთი

**(„კიბ“-ის ცნობები).**

**კრასინის მისია.**

საბჭოთა რუსეთის უმაღლეს წრეებში ფიქრობენ, რომ კრასინის მისიის მუშაობა უახლოეს დღეებში დამთავრდება სრული გამარჯვებით. ამის გამო სოვნარკომმა დაადგინა დაარსოს სახ. კომ-თან გარეშე ვაჭრობის სპეციალური საბჭო. „იზვესტიებში“ გამოცხადებულია დებულება გარეშე ვაჭრობის შესახებ. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სახალხო კომ. გარეშე ვაჭრობის, თავმჯდომარე და წევრები; სახალხო კომისრები: გზათა, სურსათის, ფინანსთა და გარეშე საქმეთა, აგრეთვე თავმჯდომარე უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭოსი. გარეშე ვაჭრობის საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმა გადაეცემა დასამტკიცებლათ სოვნარკომს.

**ინგლისი და სპარსეთი.**

„ლოკალ, ანცეიგერის“ ცნობით გამსვორტმა განაცხადა ქვედა პალატაში, რომ ინგლისსა და სპარსეთ შორის მოხდა სრული შეთანხმება საბჭოთა რუსეთის ჯარების სპარსეთში გაწვევის შესახებ. შემუშავებულია პირობა სპარსეთის და ბრიტანიის ერთმანეთის ინტერესების დასაცავათ.

**ბრიტანიის სამხედრო გემები.**

„ლოკალ ცეიგერის“ ცნობით საზღვაო უწყების მდივანმა ლონგმა განაცხადა ქვედა პალატაში, რომ ბრიტანიის სამხედრო გემები შავ ზღვაში იქნებიან მანამდის, სანამ ფრანგელსა და საბჭოთა რუსეთის შორის მოხდება შეთანხმება.

**„რეიხსტაგის არჩევნები.**

რეიხსტაგის არჩევნებზე აღარ ამოირჩიეს: რესპუბლიკის პრეზიდენტი ებერტი, ყოფილი მინისტრი ნოსკე, მინისტრი ჰეინე, ყოფილი პრეზიდენტი ნაციონალური ყრილობის ბდონი-კუხი, ბერლინის პოლიციის უფროსი ერნსტ და სხვები.

# ახალი ამბები

◆ **სახელმწიფო გადასახადების შემოსვლა.** ფინანსთა სამინისტროს კასების წინასწარი ცნობებით, რომელიც მან რესპუბლიკის 16 ხაზინიდან მიიღო, ივნისის პირველ ნახევარში სახელმწიფო გადასახადი შემოსულა 49,419,244 მან. ე. ი. 8,596.043 მან. მეტი ვიდრე მაისის პირველ ნახევარში შემოვიდა. აქედან პირდაპირი გადასახადის სახით შემოსულა—3,073,606 მან., არა-პირდაპირი გადასახადის სახით შემოსულა—3,027,275 მან. წინა თვეში შემოსულ თანხასთან შედარებით შემოსავლის ამ სამივე დარგს ეტყობა მომატება. მეტი მომატება ეტყობა არა პირდაპირი გადასახადს (6.039,080 მან. მეტი ½ თვეში) შემდეგ მიდის საბაჟო გადასახადი (289,142 მან. მეტი ნახ. თვეში) და ბოლოს პირდაპირი გადასახადი, რომლისაგანაც ივნისის პირველ ნახევარში 267, 848 მან. მეტი შემოვიდა ვიდრე მაისის პირველ ნახევარში.

◆ **სომხეთ-აზერბეიჯანის კონფერენცია.** საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიური მისიის საინფორმაციო ბიურო იუწყება: საქართველოში მყოფ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელ ტ. ა. ბეკზადიანსა და აზერბეიჯანის საგ. საქმეთა სახალხო კომისარ ჰუსეინოვს შორის მოხდა შეთანხმება ყაზალში სამხრეთ-აზერბეიჯანის კონფერენციის მოწვევის შესახებ. მისი შემადგენლობა დაინტერესებულ სახელმწიფოების მიერ გამოირკვევა ამ დღეებში. ამას გარდა შეთანხმდენ აზერბეიჯანში დატყვევებულ დამნაშავებისა და სომხეთში დატყვევებულ ბოლშევიკების გაცვლა-გამოცვლის საკითხში. ამ შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილია დეპეშით შეატყობინონ სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებს, რათა დაუყოვნებლივ შესწყვიტონ დაპატიმრებანი და რეპრესიები ბოლშევიკების წინაამდეგ სომხეთში და დაშნაკელების წინაამდეგ აზერბეიჯანში.

◆ **მოსავლის აკრეფა.** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გიაურ-არხის სახელმწიფო მამულში პურის მოსავლის ასაკრეფად სპეციალური ინსტრუქტორები გაგზავნა. იმ პირთა მამულებიდან, რომლებიც საქართველოს—აზერბეიჯანის ომის დროს მტრის ბანაკში გადავიდენ, პური სახელმწიფოს სასარგებლოდ იქნება შეკრებილი.

◆ **ქალაქის საერთო სავაჭრო კასა.** კასის გამგეობამ დადგენილება გამოიტანა ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქის ცენტრალურ საავადმყოფო კასის წევრებისადმი ამბულატორულ-ქიმიურ დახმარების აღმოჩენის შესახებ,

**ხაექიმო დ ხმარება.** საავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა ფაბრიკა-ქარხნების ექიმებთან მომხდარ თათბირზე დაადგინა, რომ იმ ავადმყოფებს, რომლებიც სპეციალურ ექიმობას საჭიროებენ სულ უკანანასკნელი ერთი თვის თავისუფლება მაინც მიეცეს.

**ხაქარხნო კომიტეტების კონფერენცია.** „სურსათის" კავშირის გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს საქარხნო და შინაგან კომიტეტების კონფერენცია, რომელმაც უნდა განიხილოს და დაამტკიცოს გამგეობის მიერ შემუშავებული კოლექტიური ხელშეკრულება და აგრეთვე შეიმუშავოს ინსტრუქციები საქარხნო კომიტეტებისათვის.

**ბრძოლა მათხოვრების წინააღმდეგ.** ქალაქის საბჭომ მოხუცებულთა და იმ პირთა მოსავლელად, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლია ცენტრ. სოციალურ დახმარების საზოგადოების განკარგულებაში ყოველ-თვიურად 15,000 მან. გადასდო, გარდა ამისა მათხოვრობასთან საბრძოლველად გადასდო 50,000 მან. შემუშავებულია წესი მათხოვრობასთან ბრძოლისა ყველა მათხოვარს განსაკუთრებულ თავშესაფარში მოათავსებენ. ამასთანავე ის მათხოვარი, რომელსაც რაიმე ქონება აღმოაჩნდება პასუხისგებაში იქნება მიცემული. ამ მიზნის პრაქტიკული განხორციელება მიენდო ქალაქის თავის ამხანაგს გ. კონიევსა და გ. შოთაძეს.

**ხოციალური დახმარება.** ტფილისის სოციალური დახმარების გამგეობამ დაადგინა: 1) უარი განაცხადოს გაერთიანებულ საქველმოქმედო საზ—ის პრეზიდიუმში მონაწილეობის მიღებაზე 2) სოციალური დახმარების „საზოგადოების წევრებათ ყოფნა. 3. ცალცალკე ბავშვთა თავშესაფარი ისპობა და არსდება ერთი „ბავშვთა სახლი", 4. საზოგადოების ყველა ფული უნდა ინახებოდეს საქართველოს კოოპერატიულ ბანკში. 5) საზოგადოების საბავშო სექციას მიენდოს სასწრაფოთ გამოიმუშაოს პროექტი თავშესაფარის დაარსებისა.

**ტფილისის ქ'ლ. თვითმართველობის ხა ხურხათო განყოფილებისაგან.** რადგანაც სასურსათო განყოფილებამდე ცნობა მოვიდა იმი შესახებ, რომ ზოგიერთ სავაჭრო დაწესებულებებში მიდიან ვილაც კაცები, რომლებიც თავის თავს განყოფილების რწმუნებულებათ აცხადებენ, ვითომ ქალაქის თვითმართველობის საჭიროებისათვის რეკვიზიციის მიზნით ზომავენ შენობებს, სასურსათო განყოფილება აუწყებს დაინტერესებულ პირთ, რომ შენობის გაზომვა რეკვიზიციის მიზნით სასურსათო განყოფილებისთვის მოხდება მხოლოდ იმ პირთა საშუალებით, რომლებსაც ამის შესახებ სათანადო წერილობითი საბუთი ექნებათ.

**ხაქართველოხ ინტერეხები აზერბეიჯანში:** ქართულმა ბანკება და სავაჭრო ფირმებმა, რომელთაც განყოფილებანი ქონდათ აზერბეიჯანში მიმართეს თხოვნით სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რათა იგი დაეხმაროს შუამდგომლობაში, რომელიც მათ აღძრეს ფინანსთა მინისტრის წინაშე აზერბეიჯანში მათი ინტირესების დაცვის შესახებ. სავაჭრო-სამრეწველო ფირმების წარმომადგენელები აღნიშნავენ, რომ აზერბაიჯანში საბჭოთა მთავრობის დამყარების შემდეგ ჩვენ განყოფილებათ მოელის დაუყოვნებლივი დახურვა, ან და ნაციონალიზაციაო.

**მოხავალი კახეთში.** წელს პურის მოსავალი კახეთში, განსაკუთრებით სიღნაღის მაზრაში, კარგია. ყანები ბევრგან მომკეს კიდეც და ლეწავენ. მუშის ხელფასი მეტად ძვირია. ყანის მკაში დღიურად მუშა იღებს დამქირავებელის ხარჯით 500—600 მანეთს. ვენახში მომუშავენი იღებენ დღეში 250—300 მან. ვენახები ბევრგან დაისეტყვა, მაგრამ ბევრგან გადარჩა. თუ ამინდმაც ხელი შეუწყო ღვინოც წელს კახეთში საკმაოდ მოვა.

**მიხალმება დამფუძნებულ კრებახ.** სიღნაღის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეოთხე ყრილობამ დეპეშით შემდეგი მისალმებით მიმართა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს: მეოთხე ყრილობა მიესალმება საქართველოს დამფუძნებ. კრებას და მთავრობას. ყრილობა დარწმუნებულია, რომ დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის მიზანშეწონილი პოლიტიკა ახალგაზრდა რესპუბლიკის ყველა შემოქმედებით ძალას აყვავების საშუალებას მისცემს. ყრილობა მიულოცავს დამფუძნებელ კრებას ბათომის და ბათომის ოლქის საქართველოსთან შემოერთებას.

# სასამართლოში

### შ. მაღლაკელიძის და სხვ. საქმე.

გუშინ ივლისის 5-ს დანიშნული იყო ყოფილ გენერალ-გუბერნატორის და სხვ. საქმე. გამოცხადდენ ბრალდებულთა მთელი შემადგენლობა, მოწმეთა საკმაო რიცხვი, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო საქმე გადაიდო დღეისათვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ საქმე დანიშნულ დროს საერთოდ არ იწყება ხოლმე; ასე მოხდა გუშინაც: მხოლოდ 1 საათზე გახდა შესაძლებელი სასამართლოს სხდომის გადადების საკითხის გამორკვევა. თუ რომელიმე დაწესებულებაშია საჭირო დროს მოგება, შემოღებული წესის სავსებით დაცვა ეს უპირველესად ყოვლისა საჭიროა სასამართლოში, ამას მოითხოვს თვით სასამართლოს პრესტიჟი და საქმის ინტერესი. მით უმეტეს მაღლაკელიძის საქმეებზე გამოწვეულია ისეთი მოწმენი, რომელთათვისაც დრო ძვირფასად ღირს, რადგანაც ზოგ მათგანს უჭირავს სხვა და სხვა უწყებაში საპასუხისმგებლო პოსტები. ამ არა სასურველ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა აღნიშნულ დროზე გამოცხადდენ ხოლმე, როგორც ნაფიცი მსაჯულები, ისე სასამართლოსათვის სხვა საჭირო პირნი.

# რკინის გზაზე

### რკინის გზების მოქმედება.

რკინის გზების სამმართველოს მიერ შემუშავებულია საინტერესო ცნობები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების მოქმედებას სავსებით ახასიათებს. მოყვანილ ცნობების თანახმად შარშანდელ წელიწადთან შედარებით მიმდინარე წელში რკინის გზების მოქმედება, განსაკუთრებით მგზავრების მოძრაობის მხრივ, დიდათ გადიდებულა. საერთო საანგარიშო წლის განმავლობაში ესე იგი 1919 წ. 1 ივნისიდან 1920 წ. 31 მაისამდე საქართველოს რკინის გზებით 5.403.174 მგზავრი ყოფილა გადაყვანილი და 2.585.322 ფუთი ბარგია გადატანილი; სულ ნელი და ჩქარი მიმოსვლით 72.033.923 ფუთი ბარგი ყოფილა გადატანილი, კერძო მგზავრების მიმოსვლა შემდეგნაირად გადიდებულა: მაშინ, როდესაც 1919 წ. მაისში საქართველოში სულ 286.742 კაცი იყო გადაყვანილი რკინის გზებით, 1920 წლის მაისში 507.994 კაცი იყო გადაყვანილი. მიმდინარე წლის მაისში ბარგიც მეტი იყო გაძაზიდული. შარშან მაისში იყო გადაზიდული 49.896 ფუთი. ეხლა კი 170.791 ფუთი. ყველაზე უფრო მეტი ბარგი გადატანილი იყო მიმდინარე წლის მარტში სახელდობრ 235.951 ფუთი.

### მარგანეცის ექსპორტი.

ივნისის განმავლობაში ჭიათურიდან ფოთში სულ დაახლოვებით $1^1/_2$ მილიონი მარგანეცი გაუტანიათ. ამ ჟამად ფოთის ნავთსადგურში სამი უცხოელი გემი იტვირთება— „ჯუნო", „შისმეტი" და „ასტრია".

### ტფილის—ბორჯომი.

პირველ ივლისიდან იმ მატარებელს, რომელიც ტფილისიდან ქუთაისში გადის, სახელდობრ № 9-ას ყოველ დღე მიაბამენ ერთ პირდაპირ ვაგონს ბორჯომამდე. ხაშურში № 9 მატარებელს მოხსნიან ამ ვაგონს და ბორჯომში მიმავალ მატარებელს მიაბამენ. ვინაიდან ბორჯომში ვაგონი ღამით მიდის, მგზავრებს დილამდი ამ ვაგონში დარჩენის ნება ეძლევათ.

### ტფილისი—ბაქო.

ვინაიდან მგზავრების რიცხვი თანდათან მატულობს, ტფილის—ბაქოს მატარებელის შემადგენლობაც გაადიდეს. პირველ ივლისიდან ეს მატარებელი ფოილოს ხიდამდე უკვე ექვსი ვაგონის შემადგენლობით დადის.

### რკინის გზელთა კონფერენცია.

კონფერენციის მეორე სხდომაზე კულტურულ განმანათლებელ მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა კონფერენციის თავმჯდომარემ ვ. ცენტერაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რკ. გზელთა გაზეთს დიდი მოთხოვნილება აქვს. იმ დროს, როდესაც რკინის გზაზე მოსამსახურეთა რიცხვი 18,000 უდრის გაზეთი 13,000 გამოდისო. ამას გარდა ყოველთვიურათ გამოდის ყოველთვიური სოციალისტურ-სამხატვრო ჟურნალი და აგრეთვე მიზნათ გვაქვს სამეცნიერო ჟურნალის და წიგნაკების გამოცემა ტეხნიკურ საკითხების შესახებო. სხვათა შორის განზრახულია გამოცემა სტატისტიკური კრებულისა რკ. გზელთა და ავადმყოფების შესახებ. კულტურულ განმანათლებელ კომისიას მიზნათ აქვს კურსების გახსნა. თითქმის ყოველ სადგურზე გახსნილია ბიბლიოთეკა-სამკითხველოები ხაზებზე ვრცელდება ჟურნალ-გაზეთები, 30 სადგურზე გახსნილია კიოსკები, რომლებმაც 5 თვის განმავლობაში 100.000 მანეთ წმინდა მოგებაზე მეტი მოგვცა. რკინის გზის კლუბებია გახსნილი ქუთაისში, სამტრედიაში, ნაძალადევში, მუშტაიდში და სხ. კონფერენციამ განსაკუთრებით რეზოლიუციაში თავისი კმაყოფილება გამოსთქვა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის შესახებ.

რკინის გზელთა კონფერენციამ სამხედრო მინისტრის სახელზე გააგზავნა მისალმება ჩვენი ახალგაზდრა ჯარისა და გვარდიის მიმართ, სადაც აღნიშნავს მათ გმირობას და ამაგს და უსურვებს დღეგრძელობასა და კეთილდღეობას.

# მესხეთი

(დასასრული).

ტბეთი. „აშოტ ერისთავთა ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან († 891 წელს), რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე". აშოტ კუხი† 918 წელს. აქ მოხსენებული სტეფანე ფრიად განათლებული კაცი იყო და ითვლებოდა სასულიერო მწერლობის ცენზორად. მან დიდ-შვენიერად დასწერა გობრონის ცხოვრება. ტბეთი დიდებული შენობაა, მაგრამ აწ გაუქმებულ—გაველანებულია. მასში ჰმარხია თვით აშოტ კუხი. მიქელ მოდრეკილის საგალობო დიდ წიგნში შენახულა სურათი ტბეთის მეორე ეპისკოპოსის წმ. იოვანესი მის მიერ გამოთქმულ გალობებითურთ. 1028 წელს ტბეთი შეიმოსა განსაკუთრებულ შარავანდედით. სწორეთ ამ წელს ბერძენთ იმპერატორი დიდის ლაშქრით შემოესია საქართველოს. ბაგრატ მეფე მაშინ ცხრა წლის ყრმა იყო. მას განუდგნენ ზოგიერთი ბეცი ქართველები და მიემხრნენ ბერძნებს. მაგრამ მამულის თავისუფლებისთვის თავი გამოსდო ტბეთის მაშინდელ ეპისკოპოსმა საბამ.

ტბეთის შესავალში წარჩინებულ მამულიშვილთა დახმარებით საბამ ააშენა სიმაგრე სვეტი, ჩადგა შიგ მოიწვია ეზრა ანჩელიც, შემოიმაგრა შავშეთი და აზნაურებთან ერთად სასტიკი ბრძოლა აუტეხა მოსეულ მტრებს. ბევრი იბრძოლეს ამათ, ბევრი ძალღონე შეალიეს სვეტის დაპყრობას, მაგრამ ძრა ვერ უყვეს თავისუფლების სვეტს. ბოლოს ლიქნა-ქადებასაც მიჰმართეს, რათა მოისყიდონ ციხის მცველები, მაგრამ ვერას გახდნენ. თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველები ერთურთს ამხნევედნენ სიტყვებით.

„ნუმცა შევვიტყუე?ენ ჩვენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი. მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გვირგვინი ახოვნობისა, სიკვდილად გავწიროთ თავნი თვისნი"

ბოლოს მტერი მოიღალა იმათ ბრძოლით გაშორდა, საქართველოდამაც მთლად გავიდა.

და ასე, ნათლით მოსილ საბამ „დაიჭირა ქვეყანაი შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ მეფისა და ღმერთმაც პატივ-სცა და ვერ წაუღეს ქვეყანა მტერთა"

ჯერ-ჯერობით ვასრულებ ჩემს წერილს ამ მოკლე განხილვით და თანვე ვურთავ მგოსნის მოწოდებას:

„ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა:
მათში სახენი სჩანან ნათელნი
გმირთა მამულის განმადიდეთა".

საჭიროა საქართველოს ნაწილების შესწავლა ყოველ მხრივ, ხოლო ასეთ შრომას ადგილობრივ მცხოვრებლებზე უკეთესად ვერავინ შეასრულებს. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს და სხვა ჩვენ მოძმე მოღვაწე მაჰმადიან ქართველებს მივმართავთ თხოვნით, მოგვცენ თავიანთ მოჭირნახულე და ბრწყინვალე სამშობლოს ვრცელი აღწერა.

მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველები ყველა ღვიძლი ძმები ვართ. ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და პატიოსანის შრომით აღვაყვავილოთ ჩვენი მარად მზიანი ტურფა სამშობლო.

მ. ჯანაშვილი.

# მილიციაში

2 ივნისს, თანახმად ტფილისის მილიციის მეორე უბნის კომისარის მომართვისა სისხლ. სამ. მილ. მოხელეებმა შეიპყრეს ნიკოლოზ ბესარიონის ძე ოქრუაშვილი, რომელსაც ბრალი ედება გორში მიწის ძვრის დროს სრიდნერის ბინის გაქურდვაში.

— 3 ივლისს სისხ. სამ. მილ. მოხელეებმა შეიპყრეს და მოათავსეს ციხეში ადმინისტრატიულ წესით 3 თვით გიორგი დავითის ძე ჭათაქმაძე და კარაპეტ მიკირტუმის ძე ანტონიანცი, როგორც მავნე პირნი საზოგადო მყუდროების დამრღვევნი.

— 3 ივლისს, სისხ. სამართ. მილ. მოხელ. ქუთაისის ქუჩ. № 29, ნიკოლოზ ივანეს ძე ხლისტოვის ბინაზე აღმოაჩინეს ერთი ოსმალური ვინტოვკა, რაზედაც მას არ ჰქონდა სათანადო ნებართვა. ვინტოვკა ჩამოართვეს.

— 3 ივლისს, ვასილ მიხეილის ძე თაბუკაშვილმა განაცხადა სისხლ. სამ. მილიციაში, რომ გუდოვიჩის ქ. იულიუს შილკინის ბინა გაძარცვეს. წაიღეს ოქროს სამაჯური 4000 მან. ღირებული. სისხლ. სამ. მოხელ. ეჭვით შეიპყრეს სიმონ დავითის ძე ცხოვრებაშვილი, რომელიც ქურდობაში გამოტყდა. საქმე გადაეცა სასამართლოს.

— ბათომში ამა ივლისიდან სისხლის სამ. მილ. უფროს ფაჩულიას წასვლის გამო მის მოადგილედ დროებით დაინიშნა მისი უმცროსი თანაშ. ვლადიმერ ივანეს ძე ჩიხლაძე.

# სავალდებულო დადგენილებანი

### საამშენებლო ნაწილში რკინა-ფილის სკალით 9 და 8 ნიშნის ძალის მიწ ხძვრის განმკდელ გორის რაიონისათვის.

### III. ალიზის შენობები.

1. სარდაფების გაკეთება სასურველია, მხოლოდ არა სავალდებულო, სარდაფები უნდა გაკეთდეს იმავე საფუძვლებზე, როგორც აგურის შენობებში.

2. საძირკვლები უნდა გაკეთდეს იმავე საფუძვლებზე, როგორც აგურის შენობებში კირის დუღაბზე (თავი 1, § 2).

3. ზეძირკვლები (цокаль) კეთდება იმავე საფუძვლებზე, როგორც აგურის შენობებში (11 § 3).

4. გარე კედლების სისქე უნდა იყოს არა ნაკლებ 0,33 საჟ. შინა კედლების არა ნაკლებ 0,25 საჟ. შენობის სიმაღლე არა უმეტეს $5^1/_2$ არშინის ფილაქანფენილიდან დავგარონის ზევითა წერტილამდის. განივი კედლები უნდა დაშორებულ იყოს ერთი მეორისაგან არა უმეტეს სამი საჟენისა. სუბუქ ნივნივის სახურავის ქვეშ შეიძლება აშენდეს ალიზის შენობები იატაკის სივრცით 32 კვ. საჟენამდე.

5. კედლების ალრჩევა (облицовка) აღკრძალულია.

6. კედლშუარები უნდა იყოს არა უვიწროესი ხვრეტისა (проема) და არა ნაკლები $1^1/_2$ არშინისა უვიწროეს ადგილზე. გარე კუთხეებთან კედლშუარები უნდა იყოს $1^1/_2$ ჯერ მეტი გვერდით მდებარე ხვრეტისა და არა ნაკლებ 1 და სამი მეოთხედი არშინისა.

7. ნახვრეტები კედლებში უნდა გადაიხურონ შესაფერი ზომის ხის კოჭებით იმ პირობით, რომ ნახვრეტების მალი (пролетъ) არ აღემატებოდეს 2 არშინს და კოჭები ჩაკეთებული იყოს წყობაში არა ნაკლებ 8 ვერშოკისა. 2 არშინზე მეტი ნახვრეტი აკრძალულია.

8. ჭერის კოჭები სასურველია იყოს მთლიანი და დაეწყოს ქვესაგაბებს ზე მთლად შენობის სიგრძით; თუ კოჭების პირისპირ შეერთებულია, შუაკედლებზე ან ბოძებზე უსათუოდ უნდა შეერთებული იყოს კბილებით და გამაგრებული რკინის ფრჩხილებით.

ჭერის კოჭები უნდა იყოს გამოშვებული გარედ ლავგარდნის მოსაფიცრავად და შეჭრილი თავხეებში (мауарлетъ), რომელნიც უნდა მოთავსდეს ერთი აგურის მანძილზე კედლების გარეგანი ზედაპირისაგან; თავხეებთან კოჭები საჭიროა შეერთდეს ფრჩხილებით.

თავხეები უნდა იყოს დაკავშირებული კედლებთან მკვრივი ჯიშის ხეებისგან გაკეთებულ ზუზანებით, რომელნიც ერთი მეორესაგან დაშორებული უნდა იყოს არა უმეტეს 1,00 საჟენისა.

9. ღუმელები უნდა დაეწყოს იატაკიდან რკინის ჩალითაში (чехлахъ).

10. ჭერის აგლესვა (штукатурка) ადგილობრივ სახურავების ქვეშ აკრძალულია.

11. პრტყელი სახურავების გაკეთების დროს ლელზე წაცხება 3 ვერშოკზე სქლად არ შეიძლება.

12. ძირითადი მილები უნდა იყოს აგებული იმავ საფუძველზე, როგორც აგურის შენობებში.

13. ჭერის კარების ზევით საკვამლო მილები უნდა აიგოს იმავ საფუძველზე, როგორც აგურის შენობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 4. ხის შენობები.

1. სარდაფების გაკეთება სასურველია, მხოლოდ არა სავალდებულო.

2. სარდაფები უნდა გაკეთდეს იმავ საფუძველზე, როგორც აგურის შენობებში.

2. საძირკვლები უნდა გაკეთდეს იმავ საფუძველზე, როგორც აგურის შენობებში,— არა ნაკლებ 12 ნაკლებ 12 ვერშოკის ლანჩის სიგანით.

3. ზეძირკვლები (ЦОКАЛЬ) სასურველია დაეწყოს აგურიდან მჭიდას (ცემენტის) ან კირის დუღაბზე, მხოლოდ ამასთანავე ნებადართულია წყობა;

4. ა) სხვილ დამტვრეული ქვისგან მჭიდას დუღაბზე;

ბ) სხვილი დამტვრეული ქვისაგან კირის დუღაბზე იმ პირობით, რომ ზედა და ქვედა პირები იქნება ჩამოთლილი, მხოლოდ გვერდები კი ტლანქათ მოთლილი.

4. კედლები უნდა გაკეთდეს: 1) ჭდეული ჯარგვალით ისე, რომ ქვეითა ძელი ზეძირკველთან დაკავშირდეს საგანგებო ჰანჰიკებით; 2) ან შვეული ბოძებით, რომელნიც ქვევითა და ზევითა კოჭებთან ზუზანებით შეერთდეს. სასურველია კავშირების გამაგრება რკინის ფრჩხილებით ან სასაალტე რკინით.

კედლები უნდა იყოს აგლესილი ან ერთი მხრით მაინც თიხით მოსმული.

5. როდესაც კედლების სიგრძე 4 საჟენს აღემატება, უნდა მოეწყოს მოკლანები (КОРОТЫНИ) ან ირიბანები (ПОДКОЗЪ) ისე, რომ პირისპირ მდებარე კედლები იატაკის და ჭერის დონეზე შეკრული იყოს მთლიანი კავშირებით ან კოჭებით.

6. ძირითადი მილები უნდა დაეწყოს რკინის ჩალითებში; კედლების სისქე უნდა იყოს არა ნაკლები ნახევარი აგურისა, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გაკეთდეს კარამიკული მილები.

7. ღუმელები უნდა დაეწყოს იატაკიდან რკინის ჩალითებში.

8. სუფთა ჭერის მისაღებად საჭიროა მოფიცვრა ან თხელი აგლესვა ალაბასტრით. სარტყლები და ლავგანდრები ნახევარ დიუმზე მეტი გამოშვერით აკრძალულია. სასურველია ხის ლავგარდნები.

9. ნივნივი (СТРОПИЛА) უნდა იყოს ჩამოკიდებული (ВИСЯЧІЯ). დაყუდებული ნივნივი ნებადართულია იმ პირობით კი, რომ იქნება მოსპობილი თარაზული გასაყარი ძალები თხრუხული რკინის კავშირები.

კვანძებში უნდა იყოს ხისტად დაკავშირება და ფრჩხილებით გამაგრება.

10. სახურავისთვის გამოსადეგია სუბუქი მასალა: რკინა, მუყაო, ტოლი, თუთია, თლარი, და ყავარი, ნებადართულია პრტყელი კრამიტიტ, რგვალი კრამიტის და ქვადაფის ხმარება აკრძალულია.

(გაგრძელება იქნება).

# წესდება

## ზესტაფონის სახალხო უნივერსიტეტისა.

§ 11. საზოგადო კრების საქმეები: 1) მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება; 2) განხილვა და დამტკიცება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებისა იმის შესახებ, თუ როგორ ასრულდა საანგარიშო წლისთვის დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვა; 3) განხილვა და დამტკიცება იმისი, თუ რაოდენი თანხა შეიძლება დახარჯოს გამგეობამ წლის განმავლობაში მიღებული ხარჯთ-აღრიცხვის ზედმეტად; 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები ამ თანხების დახარჯვის შესახებ; 5) განხილვა და დამტკიცება გამგეობის მოხსენებისა შესახებ გამგეობის მოქმედებისა წლის განმავლობაში; 6) განხილვა და გადაწყვეტა იმ კითხვების, რომელნიც შეეხებიან უძრავ ქონების სყიდვა-გაყიდვას, ან საზოგადოების მემკვიდრეობითი უფლებებს; 7) გამგეობის მიერ სექციებისათვის შეუმუშავებელ ინსტრუქციების განხილვა და დამტკიცება; 8) გამგეობის მიერ აღძრულ კითხვების განხილვა და გადაწყვეტა; 9) ამ წესდების რომელიმე მუხლის შეცვლა ან დამატების შესახებ აღძრული კითხვების განხილვა და გადაწყვეტა; 10) გამგეობის წევრების (არა ნაკლებ შვიდი წევრისა) და სარევიზიო კომისიის (არა ნაკლებ სამი წევრისა) არჩევა.

§ 12. საზოგადო კრება ყოველ კითხვას ხმის უმეტესობით გადასწყვეტს, ხოლო იმ კითხვების გადასაწყვეტად, რომელნიც შეეხებიან უძრავ ქონების შეძენა-გაცემას, სესხის აღებას, წესდების შეცვლას და ან წევრების გამორიცხვას საზოგადოებიდან (იხ. § 8) საჭიროა დამსწრე წევრთა ორი მესამედი ხმა.

### ბ) გამგეობა.

§ 13. საზოგადო კრება ყველა საზოგადო საქმეების წინ გასაძღოლად ირჩევს გამგეობას ერთი წლის ვადით. გამგეობის წევრები თავიანთ შორის ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, მდივანს, მის ამხანაგს და ხაზინადარს და გაანაწილებენ ყველა გასაკეთებელ საქმეებს. ყველა საქმეები სწყდება ხმის უბრალო უმეტესობით. ხმის თანასწორობაში თავმჯდომარის მხარე სწონავს.

**შენიშვნა:** გამგეობას უფლება აქვს თავის სხდომებზე სექციის წარმომადგენელნი და უცხო პირნი მოიწვიოს, თუ მათი დახმარება საჭიროა.

§ 14 გამგეობას კრებაზე იწვევს გამგეობის თავმჯდომარე ან როცა მას არ შეუძლია, მისი ამხანაგი. თუ მთელი თვის განმავლობაში გამგეობა არც ერთხელ არ იყო მოწვეული კრებაზე, გამგეობას კრებაზე მოიწვევს ორი რომელიმე წევრი გამგეობისა.

§ 15. მდივანი ადგენს გამგეობის სხდომის ოქმებს, გარდა ამისა მდივნის მოვალეობას შეადგენს საზოგადოების სახელით ყოველგვარი მიწერ-მოწერა.

§ 16. ხაზინადარს აბარია საზოგადოების ფული, რომლის შენახვა და ხარჯვაში მოქმედებს და ხელმძღვანელობს გამგეობის გადაწყვეტილებით. ხაზინადარი წლის დამლევს ადგენს ფულის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს, რომელიც გამგეობის მიერ განხილული და დამტკიცებული წარედგინება საზოგადო კრებას დასამტკიცებლად.

**შენიშვნა:** თანხები და სარგებლიანი ქაღალდები გამგეობის დადგენილებით ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულებაში ინახება და მათი გამოტანა შეიძლება მხოლოდ ოქმში შეტანილი დადგენილების ძალით. ყოველი ამგვარი დადგენილება უსათუოდ უნდა თავმჯდომარისა და ხაზინადრის მიერ ხელ მოწერილი იყოს. სახელდახელო ხარჯების გასასტუმრებლად ხაზინადარს ხელზე აქვს გამგეობის მიერ გადაწყვეტილი თანხა.

§ 17 გამგეობის კრება კანონიერია, თუ 5 წევრი დაესწრო.

§ 18. საზოგადოების თანხები და ქონება მთელი გამგეობის პასუხისმგებლობის ქვეშ ინახება.

§ 19. გამგეობა საკუთარის შრომის გასაადვილებლად შეადგენს სექციებს და კომისიებს. ინსტრუქციებს სექციებისათვის საზოგადო კრება ამტკიცებს თანახმად § 11 მუხ. 7.

### განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი, მიღებული გამოჩინებულის ერობის გამგეობიდან და სამხედრო სამსახურის ნუსხა № 3, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან იონა არქიფის ძე ლორიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვილოს. 727 3—1

ტფილისის ქალაქის მომრიგებელ ყრილობის სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 1920 წ. ივლისის 16-სს დილის 10-საათზე მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იხვაი აბას-ოღლის და სხვ. მოძრავი ქონების ერთი მეექვსედი ნაწილზე, რომელიც შეიცავს მოწყობილობას ‡ ხილეული მაღაზიის საქონელს რუსთაველის ქუჩაზე 22 ან ქვეშ და შეფასებულია 182400 მან. ვაჭრობა მოხდება იმავე მაღაზიაში. 1727 1—1

დაიკარგა ჯარის კაცის ნუსხა № 44 ვასილ შიოს ძე ჩარკვიანის სახელზე, მიღებული რაჭის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 725 3—1

ქ. ტფილისის მე 16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ივანე პავლეს ძე დაველიანიძის მემკვიდრეებს წარმოსადგენად თავიანთ უფლებისა ვადაზედ თანახმად 1241 მუხ. ძალ. I X ტ. (კრებ. სამოქ. საქ. კან.). 1713 1—1

ტფილისის მე 21 უბნის მომრ. მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ დეკანოზ ეხნიკ ერზინკიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი იფლება ერზინკიარცის ქონებაზე, სამ. კან. კრებ. მე X ტ. 1 ნაწ. 1241 მან. აღნიშნულ ვადაში 1 ივლისის 1920 წ. 1740 1—1

დაიკარგა პასპორტი ბოშე მიხელაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1736 3—1

დაიკარგა საკერავი მანქანის № 407|6197 ბათუმში გატანის ნებართვა ხაჩატურ კოკოლიანის სახელზე, მიღებული ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1718 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა №5374 სერგო არტემის ძე გორგაძიანცის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1658 3—3

მაშადი გასან მეხტიევის და ალესკერ ახპერ ზადეს ქონებაზე ოპეკუნმა ნაფიცმა ვექილმა კანანოვმა დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრი № 2848, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1612. 3—3

დაიკარგა პასპორტი № 88, მიღებული გამოჩინებულის თემიდან და ომში დაჰრილთა კავშირის წევრობის ბარათი სურათით— მელქისადეგ ლეონტის ძე ტონიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1680 3—2

დაიკარგა პასპორტი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე იმხანოვის სახელზე, მიღებული ბაქოს ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1681 3—2

დაიკარგა მეხუთე ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლ. მოწაფის არჩილ ჯანდიერის მოწაფეობის ბილეთი № 7. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1671 3—2

ქ. ტფილისის მე 4 უბნის სასამართლოს ბოქაული კრაულისი აცხადებს რომ 1920 წ. ივლისის 8-ს დილის 10 ს. მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ერასტი მხეიძეს მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს საოჯახო ნივთებს და დაფასებულია 6000 მანეთად. ვაჭრობა მოხდება კონცელარიაში— წინანდელი II განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის შენობაში მოხრანის ქუჩა № 4. 1728 1—1

თმნახმად 1401 და 1402 მუხ. ს. ს. წესდ. და 1239 და 1241 მუხ. მე-X ტ. I ნაწ. სამ. კან. კრებ., მომრიგებელი მოსამართლე ნაფარეულის უბნის სამომრიგებლო განყოფილებისა იწვევს გარდაცვალებულ ალექსი სტეფანეს ძე სულხანაურის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ალექსი სულხანაურის ქონებაზედ სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით დადგენილ ვადაში. 726 1—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულებულ ალექსანდრე ლუარსაბის ძის კვიკვიძის მემკვიდრეებს წარმოსადგენად თავიანთ უფლებისა ვადაზედ თანახმად 1241 მუხ. ძალ. წარ. X ტ. (კრებ. სამოქ. კან. 1715 1—1

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მთავარი აგენტი ამით აცხადებს, რომ განყოფილების საწყობში მობარეაული ვისმე ჯარის კაცის მიერ, 6 აპრილს 1920 წ. 4 ცალი ყუთი, რომელშიაც არის გარდერობი, ტანისამოსის შკაფი, პირსაბანი სამი მარმარილოს დაფებით, პატრონის გამოუცხადებლობის გამო გაიყიდება საჯარო ვაჭრობით საზოგადობის წესდების 11 მუხლის თანახმად. 722 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, № 2121 მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული წმ. მარინეს ეკლესიიდან. მიხეილ ივანეს ძე ოტიაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1746 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა თედორე ევდოკიმეს ძე კოზირევის სახელზე, მიღებული ყოფილა ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ). 3—1

დაიკარგა ქუჩაზე პაპიროსებით ვაჭრობის ნებართვა № 850, გიორგი დიმიტრის ძე მაისურაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმმართველობიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1739 3—1

დაიკარგა ქუთ. წმინდა ნინოს სასწავლებლის რვა კლასის დამთავრების მოწმობა № 399, ფეოდოსია ლეჟავას ასულის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 721 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 8394, მინა ჯაშინას ძე ნეფარიძის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1909 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1741 3—1

ქ. ტფილისის მე 16 უბ. მომრიგებელ მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული ალექსანდრე გიორგის ძის ფარსადანიანცის მემკვიდრეების წარმოსადგენათ თავიანთ უფლებისა ვადაზედ თანახმად 124 მუხ. ძალ. წარ. X ტ. (კრებ. სამოქ. კან.). 1714 1—1

# ჩაი

## ს. აცანაში (გურია)

**იყიდება ადგილობრივი საუკეთესო ღირსების გამხმარი ჩაი**

პირობების გაგება შეიძლება მღვდ. მ. ტუსკიასთან. (ნ.) 6—5

დაიკარგა პასპორტი ვლადიმერ გობას ძე ხუბულაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1721 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული მაღლაკის საზოგადოების კანცელიარიდან და ჯარში ნამსახურობის ნუსხა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ნესტორ კოსტას ძე ლექვინაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1679 3—3

დაიკარგა მოწმობა პარმენ ლავრენტის ძე დევდარიანის სახელზე, მიღებული შორაპნის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან № 769. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1716 3—3

დაიკარგა სამგზავრო წლიური ბილეთი, პირადობის მოწმობა (სურათით), მიღებული საქ. სახ. რკ. გზის სამართველოდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან სერგო სტეფანეს ძე გიგილაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1672 3—2

ვექილობა, მიცემული ჩემდამი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბებუთოვისაგან, როგორც მარიამ ივანეს ასულის ბებუთოვის რწმუნებული ევგენი გრიგორის ძე თამამშევზე ეკატერინე ლევანის ასულ თამამშევთან ერთად და გიორგი ივანეს ძე თამამშევზე თამამშევის ქარვასლის სამხრეთ ნაწილის სამართველოთ გაუქმებულია. 731 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა აბაშის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან მიღებული № 669 შტაბის წევრი ივანე ზურაბის ძე მაძალუას სახელზე. მოწმობაში აღნიშნული არის პარაბელიუმის სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა და დეპეშების კვიტანციები. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 685 3—2

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის ივლისის 10, დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი უსაბუთო ბრინჯი 17 ც. წონით 88 ფ. 15 გ. აქტით სად. ბათომი № 16: და 1 ც. ბრინჯი გაგზავნით ბაქო-ბათომი № 108356— წონით 6 ფ. 20 გ. (გამგზავნელი და მიმღები="გლაზ—ქრეთინგერ").

724 1—1

# სადახლოს საბაჟო

ამით აცხადებს საზოგადოების და სავაჭრო დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ 12 ივლისს დილის ათ საათზე სადახლოს საბაჟოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა კონფისკაციით ჩამორთმეულ საქონლების: სახელდობრ: ფართლეულის, სურსათის და სხვა.

731 1—1